

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა (ECtHR) და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ციხის შესახებ პრაქტიკის მიმოხილვა

ვარდობისთვის 2022

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი აგროვებს ციხის პრობლემებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გამოცხადებულ ყველაზე მნიშვნელოვან განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს. ევროპული ციხეების პრეცედენტული სამართლის ძირითადი ტენდენციების შესახებ ანგარიშებით ბიულეტენი მიზნად ისახავს ციხის სფეროში პრაქტიკოსი იურისტების მხარდაჭერას კვლევასა და სამართალწარმოებაში, აგრეთვე ევროპულ პრეცედენტულ სამართალში მკვდარი ზონების იდენტიფიცირებას სტრატეგიული სამართალწარმოების დასაწერად.

2022 წლის მარტ-აპრილში გამოქვეყნებული საქმეების მიმოხილვა

კალდა ესტონეთის წინააღმდეგ (KALDA v. ESTONIA) ■ [საჩივრის ნომერი: 35245/19](#)

დაკავებულისათვის მინის ტიხარის გარეშე მეუღლესთან მოკლევადიან შეხვედრაზე უარის თქმა: მე-8 მუხლის დარღვევა.

ნორმანტოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (NORMANTOWICZ v. POLAND) ■ [საჩივრის ნომერი: 65196/16](#)

პატიმარი ჯანმრთელობის მრავალი პრობლემით, ადეკვატური სამედიცინო მომსახურება და მისი პატიმრობაში დატოვების გადაწყვეტილება, გადაჭარბებული დროით საქმის წარმოება განმცხადებლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით ციხის დატოვების შესახებ: მე-3 მუხლის დაურღვევლობა.

მოკანუ რუმინეთის წინააღმდეგ (MOCANU v. ROMANIA) ■ [საჩივრის ნომერი: 76888/13](#)

პატიმრობის არასათანადო პირობები: მე-3 მუხლის დარღვევა; განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება პატიმრობაში ყოფნის დროს: განცხადების ნაწილი დაუსაბუთებელია.

კოსოვანი მოლდოვას წინააღმდეგ (COSOVAN v. MOLDOVA) ■ [საჩივრის ნომერი: 13472/18](#)

ტერმინალურ ეტაპზე სერიოზული დაავადებით განმცხადებლისათვის არასათანადო სამედიცინო დახმარების გაწევა: მე-3 მუხლის დარღვევა; სისხლის სამართლებრივი გამოძიების ხელოვნურად ცალ-ცალკე დაყოფა უსამართლო პროცედურული უპირატესობების მისაღებად ან სავალდებულო საკანონმდებლო დებულებების გვერდის ასავლელად: მე-5 მუხლის დარღვევა.

ვოოლი და ტუმეკი ესტონეთის წინააღმდეგ (VOOL AND TOOMIK v. ESTONIA) ■ [საჩივრების ნომრები: 7613/18 და 12222/18](#)

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრებისთვის ოჯახის ხანგრძლივი ვიზიტების აკრძალვა: მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთად.

ლანიაუსკასი ლიეტუვას წინააღმდეგ (LANIAUSKAS v. LITHUANIA) ■ [საჩივრის ნომერი: 48309/19](#)

მხედველობადაქვეითებული პატიმრისათვის გაწეული არასათანადო სამედიცინო მომსახურება და მისი ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობა მისი განგრძობითი პატიმრობის დროს: მე-3 მუხლის დაურღვევლობა.

ნუჰ უზუნი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (NUH UZUN AND OTHERS v. TURKEY) ■ [საჩივრების ნომრები: 49341/18 და 13 სხვა](#)

პატიმართა მიმოწერის ატვირთვა ადგილობრივ სერვერზე, რომელიც რეგულირდება გამოუქვეყნებელი შიდა რეგულაციებით, რომელზეც პატიმრებს არ აქვთ წვდომა: მე-8 მუხლის დარღვევა.

მასლაკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (MASLÁK v. SLOVAKIA (NO. 2)) ■ [საჩივრების ნომრები: 38321/17 და 8 სხვა](#)

პატიმრის მოთავსება მაღალი უსაფრთხოების განყოფილებაში ძალადობისაგან სათანადო დაცვის გარეშე: მე-8 მუხლის დარღვევა, მე-3 მუხლის დაურღვევლობა.

სრული გამოცემა იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე

EUROPEAN
PRISON
LITIGATION
NETWORK



წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირისა და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. არც ევროკავშირი, არც ევროკომისია და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.

ROBERT
CARR
FUND For civil
society
networks

